ა(ა) ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

06.09.2013 №155

თბილისი

სტუ-ს ინსტიტუტ „ტექინფორმის“ ვაკანტური
სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად
კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ „ტექინფორმის“ დებულებისა და ინსტიტუტის დირექტორის 2013 წლის 04 სექტემბრის №01-06/44 წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ჩატარდეს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ „ტექინფორმის“ სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელი კონკურსი დანართი №1-ით განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2013 წლის 7 სექტემბერს და დასრულდეს 2013 წლის 7 ოქტომბერს. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ „ტექინფორმის“ შენობაში (მის: კოსტავას ქ. №47, VI სართული, ოთახი №18 ტელ: 2 33 53 15 2 33 51 22), 10 საათიდან – 17 საათამდე, (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გარდა).
3. კონსურსი ჩატარდება არაუგვიანეს 2013 წლის 10 ოქტომბრისა.
4. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი ბ. მაისურაძე

დანართი №1.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინსტიტუტ „ტექინფორმის“ ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის ნუსხა და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

ა) ანალიზისა და საინფორმაციო რესურსების განყოფილება

- მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
- უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
- მეცნიერი თანამშრომელი - 3 საშტატო ერთეული.

ბ) საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების განყოფილება

- მთავარი მეცნიერ თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული;
- მეცნიერ თანამშრომელი - 1 საშტატო ერთეული.

- მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
- უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი;
- მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);
- დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
- გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;
- ერთი სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
- შესაბამისი დარგის 1 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელმაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიოს განმცხადებელს (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი);
- სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი რომელშიც მონაწილეობდა ან მონაწილეობს ამჟამად.